

უსაფრთხოების პოლიტიკა

უსაფრთხოების პოლიტიკა (შემდგომში მოხსენებული როგორც „პოლიტიკა“)

უკანასკნელი ცვლილების თარიღი 2021 წლის 1 თებერვალი.

შპს „ლითენ თრი“ წარმოდგენილი ვებ-გვერდით littentree.ge (შემდგომში ვებ-გვერდი) იცავს პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის კონფიდენციალურობას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების სრული შესაბამისობით.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია დავიცვათ ჩვენი მომხმარებლების კონფიდენციალური ინფორმაცია, რადგან ჩვენი ვებ გვერდით სარგებლობა იყოს უსაფრთხო და სანდო. ვებ გვერდზე შემოსვლით თქვენ ეთანხმებით წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკას. თუ თქვენ არ ეთანხმებით წინამდებარე დოკუმენტს, გთხოვთ შეწყვიტოთ ჩვენი ვებ გვერდით სარგებლობა.

წინამდებარე პოლიტიკა, შესაძლოა, დროდადრო განახლდეს. დოკუმენტის განახლებული რედაქცია მოცემული იქნება ამავე ვებ-გვერდზე. მოგმართავთ თხოვნით, გაეცნოთ მას რეგულარულად. უკანასკნელი განახლების თარიღი მოცემულია გვერდის დასაწყისში.

წინამდებარე პოლიტიკა წარმოადგენს ჩვენი სერვისით სარგებლობის წესების და პირობების განუყოფელ ნაწილს.

უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნები და მოქმედების სფერო

პერსონალური მონაცემები, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, წარმოადგენს ნებისმიერი ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან სხვა მახასიათებლით.

ჩვენი კომპანიის მიერ მოხდება პერსონალური მონაცემების შენახვა/დამუშავება კონკრეტული მიზნით და მისი გამოყენება მოხდება მხოლოდ კომპანიის საჭიროებების შესაბამისად.

მონაცემები უნდა დამუშავდეს იმ მინიმალური მოცულობით, რაც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნის მისაღწევად; თავად მონაცემებიც, ამ მიზნის შესაბამისი უნდა იყოს. მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს, ასევე, უნდა გადამოწმდეს ინფორმაციის წყაროს სანდოობა, გასწორდეს მცდარი და არაზუსტი მონაცემები. პერსონალური მონაცემები უნდა ინახებოდეს კანონით განსაზღვრული ვადით ან იმ ვადით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება ყველა სახის ინფორმაციაზე და პერსონალურ მონაცემზე, რომელიც თქვენ მიერ ვებ გვერდის სერვისების გამოყენების შედეგად მოიპოვება. პოლიტიკა არ ვრცელდება მესამე პირების იმ ვებგვერდებზე ან/და სერვისებზე, რომლებიც არ არიან littentree.ge-სთან აფილირებული ან/და სხვაგვარად დაკავშირებული პირები, მაგრამ შესაძლოა ასეთ ვებ-

გვერდებთან ან/და სერვისებთან კავშირი littentree.ge-ს სერვისების საშუალებით იყოს შესაძლებელი (შემდგომში — მესამე პირების ვებ გვერდები). გთხოვთ გაეცნოთ მესამე პირების ვებ-გვერდებით ან/და სერვისებით სარგებლობის კონფიდენციალურობის პოლიტიკას, რადგან littentree.ge არ არის პასუხისმგებელი და არ აქვს გავლენა არც მესამე პირების ვებ-გვერდების ან/და სერვისების შემცველ მასალებზე და არც მათი კონფიდენციალურობის დაცვის პრაქტიკაზე.

პერსონალური მონაცემები და მისი დამუშავება

პერსონალური მონაცემები შეიძლება იყოს ერთი ან რომელიმე ქვემოთ მითითებული ერთობლივად:
ა) სახელი და გვარი; ბ) პირადი ნომერი; გ) პირადობის მოწმობის, პასპორტის, ამავე ელექტრონული საბუთის უნიკალური მახასიათებლები ან/და ასლი; დ) პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართი; ე) ტელეფონის ნომერი; ვ) იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი; ზ) სხვა ის ინფორმაცია, რომელიც ასევე ერთობლიობაში იძლევა პირის პერსონალური იდენტიფიცირების საშუალებას ან/და საჭიროა ვებ-გვერდით სარგებლობისთვის;

ვებ-გვერდით სარგებლობისას, ჩვენი სერვერი ავტომატურად იწერს დეტალებს თქვენი ვიზიტის შესახებ. მაგალითად, თქვენი IP მისამართი, ვებ-გვერდი, რომლიდანაც ჩვენს ვებ-გვერდს ესტუმრეთ, ვიზიტის დროს გამოყენებული ინტერნეტ-ბრაუზერის ტიპი, ვებ-გვერდის კონკრეტული გვერდები, რომლებსაც ფაქტობრივად ესტუმრეთ და თქვენი ვებ-გვერდზე თქვენი სტუმრობის თარიღი და ხანგრძლივობა.

დამატებით, ჩვენი ვაგროვებთ პერსონალურ მონაცემებს, რომელსაც გვაწვდით littentree.ge სერვისის მეშვეობით, მაგალითად როდესაც შეგყავთ პერსონალური მონაცემები (სახელი, სქესი, მისამართი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, პირადი ნომერი) ვებ-გვერდის სარეგისტრაციო გვერდზე ან მაშინ, როდესაც ჩვენს ვებ-გვერდზე სიახლეების მისაღებად რეგისტრირდებით.

littentree.ge გამოიყენებს/დაამუშავებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს:

- littentree.ge პორტალის და სერვისების ტექნიკური ადმინისტრირების და მისი კვლევისა და განვითარების მიზნებისათვის;
- კლიენტისა და მომხმარებლის ადმინისტრირებისა და მარკეტინგული მიზნებისათვის;
- ჩვენი სერვისებისა და პროდუქტების შესახებ თქვენთვის ინფორმაციის მოსაწოდებლად;
- წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებისთვის;

პირდაპირი მარკეტინგი

წინამდებარე დოკუმენტის გაცნობითა და რეგისტრაციის გაგრძელებით, ჩვენი კომპანია იძენს თქვენთან უფლებამოსილებას სხვადასხვა მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, სატელეფონო ზარის, ელექტრონული ფოსტის, სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებებით ან მომხმარებელთა უშუალო კომუნიკაციით განახორციელოს მომსახურების, პროდუქტის, სერვისის შეთავაზება ან რაიმე სახის ქმედების განხორციელების თხოვნა.

თქვენ გაქვთ უფლება ნებისმიერ დროს მოითხოვოთ თქვენ შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით საკონტაქტო ინფორმაციაში მითითებულ პირებს.

littentree.ge ვალდებულია შეწყვიტოს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავება ან/და უზრუნველყოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტა მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

ინფორმაციის შეგროვება

littentree.ge იყენებს ისეთ ტექნოლოგიას, როგორცაა ქუქი-ჩანაწერი ან თეგი (შემდგომში — თრეკინგის ტექნოლოგია), იმისთვის, რომ შევაგროვოთ ზემოაღნიშნული ინფორმაცია და გავიგოთ, თუ როგორ იყენებენ ვიზიტორები ჩვენს ვებ-გვერდს.

ქუქი-ჩანაწერების ან თეგების ტექნოლოგია გვეხმარება ვმართოთ და გავაუმჯობესოთ littentree.ge პორტალის და სერვისების გამოყენებადობა. თქვენ შეგიძლიათ თქვენი ინტერნეტ-ბრაუზერით თრეკინგის ტექნოლოგიების პოლიტიკის კონტროლი. თრეკინგ ტექნოლოგიების გამოყენებაზე უარის თქმამ ან მათმა დეაქტივაციამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ვებ-გვერდის სერვისების ან მათი ცალკეული კომპონენტების ხელმისაწვდომობაზე და მათ გამართულ ფუნქციონირებაზე.

ინფორმაციის გადაცემა

littentree.ge-მ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემები შესაძლოა მესამე პირებს გადასცეს შემდეგი მიზნებისათვის: სრულყოფილი მომსახურებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, საქართველოს კანონმდებლობით littentree.ge-სთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, ასევე სხვა კომპანიებთან, აფილირებულ პირებთან, აგენტებთან, პროდუქტის მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე littentree.ge-ს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის. littentree.ge-ს მიერ პერსონალური მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემის უფლებამოსილება შუამავალს გააჩნია კანონმდებლობით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე.

littentree.ge-ს მიერ პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

უსაფრთხოება

littentree.ge-მ მოახდინა ყველა გონივრული ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომის იმპლემენტაცია, რაც უზრუნველყოფს კომპანიაში მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

ჩვენთან მკაცრად არის დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა. მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, ვისაც მონაცემების დამუშავება სჭირდებათ მათზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ არ ვაგებთ პასუხს თქვენი ინფორმაციის უსაფრთხოებაზე იმ ეტაპზე, როდესაც ეს ინფორმაცია ინტერნეტის მეშვეობით littentree.ge-სთვის გადაცემის მდგომარეობაში იმყოფება. იმისათვის, რომ დაიცვათ თქვენი მონაცემების კონფიდენციალურობა, გვსურს შეგახსენოთ, რომ თქვენ შეგიძლიათ ვებ-გვერდით სარგებლობისას აირჩიოთ ის მეთოდი, რომელსაც შესაფერისად მიიჩნევთ.

18 წელს მიუღწეველი პირების შესახებ

ჩვენ არ ვაგროვებთ პერსონალურ მონაცემებს პირებისგან, ვისაც 18 წლის ასაკისთვის არ მიუღწევია. littentree.ge-ს პორტალისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემამდე 18 წელს მიუღწეველმა პირებმა უნდა მოიპოვონ ნებართვა მშობლებისგან ან კანონიერი წარმომადგენლებისგან. აღნიშნული ნებართვა უნდა წარედგინოს კომპანიას შესაბამისი წესით - მოთხოვნისთანავე.

პერსონალურ მონაცემებზე წვდომა ან გაცნობა

მოქმედი კანონმდებლობით ან რეგულაციებით გათვალისწინებული წესით, თქვენ შეგიძლიათ:

- გადაამოწმოთ ვინახავთ თუ არა თქვენს პერსონალურ მონაცემებს;
- გვთხოვთ ჩვენთან დაცული თქვენი პერსონალური მონაცემების ასლის გადმოცემა, ან
- მოითხოვთ ჩვენთან დაცული თქვენი პერსონალურ მონაცემებში უსწორობის აღმოფხვრა.

თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ წერილობითი მოთხოვნა საკონტაქტო ინფორმაციაში მითითებულ მისამართზე.